

**დრამის ფაკულტეტის
დებულება**

განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე 22.11.2017 წ. ოქმი №10

- მუხლი 1. რეგულირების სფერო
- მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი
- მუხლი 3. ფაკულტეტის ფუნქციები
- მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები
- მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო
- მუხლი 6. დეკანატი
- მუხლი 7. დეკანის ფუნქციები
- მუხლი 8. დეკანის მოადგილის ფუნქციები
- მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- მუხლი 10. დეკანატის სამდივნო
- მუხლი 11. ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- მუხლი 12. ფაკულტეტის სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა
- მუხლი 13. ფაკულტეტის მიმართულებები
 - საგანმანათლებლო პროგრამა
 - საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცება
- მუხლი 14. ფაკულტეტის სასწავლო თეატრი
- მუხლი 15. ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტი
- მუხლი 16. საჯაროობა
- მუხლი 17. მატერიალური რესურსები
- მუხლი 18. დებულების ამოქმედება

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და 28-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამტკიცებს სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის შემდეგ დებულებას:

მუხლი 1. რეგულირების სფერო

- 1.1. ეს დებულება ადგენს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში: უნივერსიტეტი) დრამის ფაკულტეტის (შემდეგში: ფაკულტეტი) საქმიანობის წესს და განსაზღვრავს ფაკულტეტის სტრუქტურას.
- 1.2. დებულების მოქმედება ვრცელდება ფაკულტეტის მართვის ორგანოების, აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების მიმართ.

მუხლი 2. ფაკულტეტი სტატუსი

- 2.1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეული.
- 2.2. ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და პირების წინაშე წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.
- 2.3. ფაკულტეტი იქმნება უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

მუხლი 3. ფუნქციები

- 3.1. ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხისმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან.

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

- 4.1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

- ფაკულტეტის საბჭო;
- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

- 4.2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის:

- ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი)
- ფაკულტეტის მიმართულებები
- ფაკულტეტის სასწავლო თეატრი
- ქორეოგრაფიული დეპარტამენტი

- 4.3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

- 5.1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.
- 5.2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით.
- 5.3. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წევრები.
- 5.4. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4-ით.
- 5.5. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები იმართება თვეში არანაკლებ ერთხელ. რიგგარეშე ფაკულტეტის საბჭოს სხდომა შეიძლება იყოს მოწვეული საბჭოს წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.
- 5.6. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის

ოქმში, რომელსაც აწარმოებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, რომელსაც ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 6. დეკანატი

6.1. დეკანატი ხელმძღვანელობს ფაკულტეტს.

6.2. დეკანატი შედგება: დეკანის, დეკანის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამდივნოსაგან (მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი).

6.3. დეკანის თანამდებობა არჩევითია. დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. არჩევნებანდე ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დეკანობის კანდიდატი წარადგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას.

6.4. დეკანის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. ერთი პიროვნება ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე შესაძლებელია არჩეულ იქნას ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადისა.

6.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით. არჩეული სამსახურის ხელმძღვანელებთან შრომის ხელშეკრულებას აფორმებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

6.6. დეკანის მოადგილე და სამდივნოს თანამშრომლები ინიშნებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ. სამდივნოს თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის სამტატო განრიგით.

მუხლი 7. დეკანის ფუნქციები

7.1. დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი და წარმოადგენს ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წინაშე.

7.2. დეკანის ძირითადი უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

7.3. დეკანის ფუნქციებში შედის:

- ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა;
- დეკანატის ფუნქციების გადანაწილება სამდივნოს თანამშრომლებს შორის;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის შემუშავება, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვა და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა;
- ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ორგანიზება;
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომების დანიშვნა და თავმჯდომარეობა;
- ფაკულტეტის სახელით სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემა;
- სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის სავარაუდო ხარჯების წარმოდგენა;
- რექტორს და კანცლერს წარუდგენს თანამდებობებზე დასანიშნად დეკანის მოადგილის კანდიდატურას;
- კანცლერს წარუდგენს თანამდებობებზე დასანიშნად ადმინისტრაციული პერსონალის კანდიდატურებს.
- დეკანი მიმართულების ლიდერის წარდგინებით მასწავლებლის და უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე ნიშნავს (ან ათავისუფლებს) დარგის შესაბამის სპეციალისტს.

7.4. დეკანი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობაზე, და შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 8. დეკანის მოადგილის ფუნქციები

8.1. დეკანის მოადგილე მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და სხვა სახის საორგანიზაციო პროცესებში;

8.2. ასრულებს დეკანის მოვალეობას დეკანის ავადმყოფობის, მივლინებაში და შვებულებაში ყოფნის დროს.

8.3. დეკანის მოადგილე ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.

მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

9.1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

9.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

9.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებაში შედის:

- სასწავლო პროგრამების შემუშავების ორგანიზება;
- სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- სასწავლო და შემოქმედებითი პროცესის ხარისხის შეფასება;
- აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასება;
- აკადემიურ სფეროში ფაკულტეტის საქმიანობის თვითშეფასების პროცესის ხელმძღვანელობა და განხორციელება,
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მომზადება.

მუხლი 10. დეკანატის სამდივნო

10.1. დეკანატის სამდივნო ასრულებს ფაკულტეტის მართვის ორგანოების – დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანის მოადგილის დავალებებს და ეწევა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას.

10.2. დეკანატის სამდივნოს ფუნქციებია:

1. დეკანატის, ფაკულტეტის საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზება;
2. სტუდენტთა მონაცემების აღრიცხვა და პირადი საქმეების წარმოება;
3. სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შედგენა და მათზე კონტროლის უზრუნველყოფა;
4. კურსდამთავრებულთათვის დოკუმენტაციის (დიპლომის დანართი) მომზადება;

5. სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის საჭირო ცნობების, რეკომენდაციების და სხვა დოკუმენტაციის მომზადება;
6. ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება ელ-ფოსტით ან სხვა საშუალებით უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების მიღების ან მათში ცვლილებების შეტანის შესახებ;
7. აკადემიური პერსონალის სემესტრული სააუდიტორო დატვირთვების კოორდინირება;
8. სტატისტიკური მონაცემების სისტემატური წარმოება;
9. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;
10. სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
11. სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობა. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში მონაწილეობა;
12. ფაკულტეტის დოკუმენტაციის წარმოება - შენახვა.

მუხლი 11. ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი

- 11.1. აკადემიურ თანამდებობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
- 11.2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 11.3. ასისტენტი წარმართავს პრაქტიკულ სამუშაოს მოდულის საგნებში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.
- 11.4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო.
- 11.5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.
- 11.6. აკადემიური პროგრამების განხორციელებისთვის ფაკულტეტი უფლებამოსილია დაასაქმოს მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი.
- 11.7. ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინებით ნიშნავს მასწავლებლებს და უფროს მასწავლებლებს.

მუხლი 12. ფაკულტეტის სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა

- 12.1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

12.2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

12.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

12.4. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.

12.5. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

მუხლი 13. ფაკულტეტზე არსებული მიმართულებები

13.1. ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი მიმართულებები:

- ა) სამსახიობო მიმართულება
- ბ) სარეჟისორო მიმართულება
- გ) სასცენო მეტყველების მიმართულება
- დ) სამუსიკო მიმართულება
- ე) ქორეოგრაფიული მიმართულება

13.2. საგანმანათლებლო პროგრამა

13.2.1. საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შექმნაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ცალკეული საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული განათლება) მიხედვით.

13.2.2. საბაკალავრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს **კონცენტრაციებისგან**. მისი აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები.

13.2.3. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს **კონცენტრაციებისგან**. მისი აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები, სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად განკუთვნილი კომპონენტისაგან და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.

13.2.4. სადოქტორო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს **კონცენტრაციებისგან**. პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან დასრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.

13.2.5. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, შემოქმედებითი მიღწევებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

13.2.6. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

13.2.7. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და მოდულის ხელმძღვანელი.

13.3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცება

13.3.1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი სასწავლო პროგრამებს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარდგინებით.

13.3.2. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

13.3.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემადგენელი მოდულის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

13.4. მიმართულების ლიდერი

მიმართულების ლიდერად შეიძლება აირჩეს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

მიმართულების ლიდერის არჩევნებში მონაწილეობენ მხოლოდ შესაბამისი მიმართულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირები.

- მიმართულების ლიდერი წერს ან ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროგრამების - კურიკულუმების დაწერას.
- მიმართულების ლიდერი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
- მიმართულების ლიდერი მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს: შუალედური და სემესტრული გამოცდების შეფასებებს, ხელმძღვანელობს მიმართულების სხდომებს.
- მიმართულების ლიდერი გასცემს რეკომენდაციებს კანდიდატებისთვის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.
- მიმართულების ლიდერი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს კანდიდატებს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად.
- მიმართულების ლიდერი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე და სილაბუსების ხარისხზე.
- მიმართულების ლიდერობის კანდიდატი ამომრჩეველთა წინაშე წარადგენს მიმართულების განვითარების ოთხწლიან გეგმას.

- მიმართულების ლიდერი ირჩევა ოთხი წლის ვადით არჩევნებში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. (კენჭისყრის ფორმას - ღიას თუ ფარულს) წყვეტენ მიმართულების წარმომადგენლები).
- ლიდერი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
- თუ ყველაზე მაღალი აკადემიური რანგის მქონე პირი ერთადერთია მიმართულებაზე, ის ავტომატურად ხდება მიმართულების ლიდერი.
- მიმართულების ლიდერი პასუხისმგებელია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.
- მიმართულების ლიდერს თანამდებობაზე ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

13.4.1. მიმართულების ლიდერობა არაანაზღაურებადი საქმიანობაა.

მუხლი 14. ფაკულტეტის სასწავლო თეატრი

14.1. ფაკულტეტის სასწავლო თეატრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფს სამივე საფეხურის სტუდენტებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტების (სპექტაკლების, ქორეოგრაფიული წარმოდგენებისა და საგუნდო კონცერტების) განხორციელებას.

14.2. სასწავლო თეატრის შემადგენლობაში შედიან: თეატრის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური პერსონალი.

14.3. სასწავლო თეატრი ფაკულტეტის საბჭოსთან და დეკანთან ერთად წარმართავს სარეპერტუარო და საფესტივალო პოლიტიკას, მასტერკლასებისა და ვორქშოპების ჩატარებას. თეატრის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს კომერციალიზაციას, რაც უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლების გაზრდის წინაპირობაა.

მუხლი 15. ქორეოგრაფიული დეპარტამენტი

15.1 ქორეოგრაფიული დეპარტამენტის სტატუსი

ქორეოგრაფიული დეპარტამენტი არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული (ქვედანაყოფი).

15.2. ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ფუნქცია და ამოცანები:

15.2.1. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართული ქორეო-კულტურისა და სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაცია. მასთან დაკავშირებული წინადადებებისა და რეკომენდაციების ინიცირება, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე;

15.2.2. ქორეოგრაფიული მიმართულების სემინარების, კონფერენციების, მასტერკლასების, ტრენინგების, ექსპედიციების, ფესტივალების ორგანიზება და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება; ადგილობრივ და საერთაშორისო სახელოვნებო პროექტებში (სემინარები, კონფერენციები, მასტერკლასები, ტრენინგები, ექსპედიციები, ფესტივალები) ქორეოგრაფიული მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა;

15.2.3. ადგილობრივ საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა ქორეოგრაფიული განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიზნით;

15.2.4. პოტენციურ დამსაქმებლებთან (ანსამბლები, სტუდიები, სასწავლებლები) ურთიერთობა.

15.3. **ქორეოგრაფიული დეპარტამენტის სტრუქტურა:** ქორეოგრაფიულ დეპარტამენტში შედის: დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქორეოგრაფიის დარგობრივი საბჭო, ქორეოგრაფიული ანსამბლი.

15.4. **ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი:** ქორეოგრაფიული დეპარტამენტის მართვას ახორციელებს ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც მიმართულების ლიდერის წარდგინებით ამტკიცებს დარგობრივი საბჭო. დეპარტამენტის ხელმძღვანელი

- უზრუნველყოფს დეპარტამენტის მუშაობის ორგანიზებას;
- შეიმუშავებს დეპარტამენტის განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციებს;
- საჭიროებიდან გამომდინარე იწვევს და ხელმძღვანელობს ქორეოგრაფიული დეპარტამენტის დარგობრივი საბჭოს სხდომას.
- დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

15.5. **ქორეოგრაფიის დარგობრივი საბჭო:**

15.5.1. ქორეოგრაფიის დარგობრივ საბჭოში შედის ქორეოგრაფიული მიმართულების აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები;

15.5.2. სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

15.5.3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი;

15.5.4. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი;

15.5.5. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

15.5.6. დარგობრივ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

15.5.7. დარგობრივ საბჭოს შეაქვს ცვლილებები დეპარტამენტის დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

15.6. **ქორეოგრაფიული ანსამბლი**

15.6.1. ქორეოგრაფიული დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის, როგორც ქორეოგრაფიული, ასევე, სხვა მიმართულებების სტუდენტებისაგან;

15.6.2. ქორეოგრაფიული ანსამბლის შემოქმედებით-ადმინისტრაციული პერსონალია: მენეჯერი, სამხატვრო ხელმძღვანელი/მთავარი ქორეოგრაფი, ქორეოგრაფ-რეპეტიტორი, აკომპანიატორები, გარდერობის ადმინისტრატორი;

- 15.6.3. უნივერსიტეტის სახელით ანსამბლი იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში;
- 15.6.4. უნივერსიტეტის სახელით ანსამბლი მონაწილეობს საგასტროლო მოგზაურობებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 16. საჯაროობა

- 16.1. დეკანატში დაცული ინფორმაცია არსებული კანონმდებლობის ფარგლებში საჯაროა, გარდა სტუდენტის პერსონალურ ბარათში შეტანილი პირადი ინფორმაციისა.
- 16.2. სილაბუსისა და პროგრამის საჯაროობა განისაზღვრება ავტორის გადაწყვეტილების მიხედვით.

მუხლი 17. მატერიალური რესურსები

- 17.1. ფაკულტეტის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის მიერ.
- 17.2. ფაკულტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 18. დებულების ამოქმედება

დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.